

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საჯარო
სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

ლიკა ნაროზაშვილი

კომერციული საიდუმლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოს
შესახებ ინფორმაციის განსხვავების პრობლემა შედარებითი
ანალიზის საფუძველზე

ნაშრომი შესრულებულია საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი - თამარ კორძაია, სამართლის მაგისტრი,

მოწვეული ლექტორი

თბილისი

2019 წ.

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლიკა ნაროზაშვილი

2019 წელი

აბსტრაქტი

რამდენიმე თვის წინ საყოველთაო განხილვის საგანი იყო ე.წ. „გაზპრომთან“ დასადეები შეთანხმება, რომელიც გულისხმობს რუსული გაზის სომხეთის ტერიტორიაზე ტრანზიტის პირობების დადგენას. მთავარი საკითხი, რასაც ყველა განიხილავდა იყო შემდეგი, რომ „გაზპრომის“ წარმომადგენლები რუსეთიდან სომხეთში საქართველოს მიერ გატარებული ბუნებრივი აირის 10%-ის მიწოდების ნაცვლად, ფინანსურ ანაზღაურებაზე გადასვლას ითხოვდნენ, რაც ქართული მხარისთვის მიუღებელი გახლდათ.

გარკვეული პერიოდის შემდეგ კი წავიკითხე ჟურნალ „ლიბერალის“ სტატია შემდეგი სათაურით - „სამინისტრო: „გაზპრომთან“ ხელშეკრულება კომერციული საიდუმლოებაა და არ გასაჯაროვდება¹“. როგორც სტატიიდან ირკვევა, დოკუმენტის მიღების მოთხოვნაზე თავდაპირველად ეკონომიკის სამინისტროში განაცხადეს, რომ იგი მთლიანად (ხელშეკრულების სრული ტექსტი) კომერციული საიდუმლოება იყო, ხოლო შემდეგ - რომ თურმე ჯერ რეესტრში არ ყოფილა გატარებული და ამის გამო, „ლიბერალს“ ურჩიეს გამოეყენებინათ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისთვის დადგენილი წესების დაცვა, რადგან საუბარი იყო თავად ეკონომიკის სამინისტროში არსებულ რეესტრზე.

რა თქმა უნდა, სამინისტროსგან მსგავსი პასუხი არანაირ ლოგიკაში, არც ჯდება და, ვერც ჩაჯდება. ეს ხელშეკრულება ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და მისი გასაიდუმლოება არის დაუშვებელი. სწორედ ამ გარემოებამ და შექმნილმა ვითარებამ მიბიძგა თემის დასაწერად.

¹ <http://liberali.ge/news/view/26932/salome.ge>

Abstract

Several months ago, the so-called agreement with “Gazprom” became a subject of almost universal discussion, above mentioned agreement implied setting up rules of transit for Russian natural gas to Armenian territory. A major topic everyone was talking about was the demand from “Gazprom” representatives, that instead of supplying Georgia with 10% of the natural gas from the amount it was shipping to Armenia, Russians wanted to transition to monetary compensation method instead, which was not acceptable for Georgian side.

Shortly after, I read an article in “Liberali” Magazine with the headline- "Ministry says: "Gazprom contract is a commercial secret and will not be made public". As the article elaborated, at first when the document was requested the ministry stated that entire document (full text of the contract) was commercial secret, later they said that contract was not registered at the Georgian National Registry, but at the Registry of Ministry of Economics itself and advised “Liberali” staff to request the information according to public information access rules.

Naturally, the answer ministry provided makes no sense in terms of logic. This agreement has strategic significance for Georgian state and making it secret if not acceptable. These circumstances and the current situation around this topic is a major motivator for me to write a thesis on this topic.